ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე ჯანდაცვის რეაგირების გაძლიერების საპილოტე პროექტის ოფიციალური დაწყების ღონისძიება თელავის „ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკაში“

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება

თარიღი და დრო: 21 ივნისი, 15:00 საათი
ადგილი: „ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკა“
მისამართი: ქ. თელავი, ალადაშვილის ქ. N6

გვაქვს პატივი მოგიწვიოთ სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდსა (Atipfund) და „ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკას“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებისა და ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე ჯანდაცვის რეაგირების გაძლიერების საპილოტე პროექტის ოფიციალური დაწყების ღონისძიებაზე, რომელიც გაიმართება მიმდინარე წლის **21 ივნისს, 3 საათზე, ქ. თელავში, „ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკაში“** (მის.: ალადაშვილის ქ. N6).

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის წინაპირობას წარმოადგენს *ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის* ეგიდით მიმდინარე საპილოტე პროექტი, რომლის მიზანია ჯანდაცვის რეაგირების გაძლიერება ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობაზე. პროექტი გულისხმობს სამედიცინო პერსონალის შესაბამის მომზადებას და ინსტიტუციური მექანიზმის შექმნას ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის დროული გამოვლენის, მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

მემორანდუმის ფარგლებში სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი უზრუნველყოფს კლინიკის მხარდაჭერას ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობასთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სტანდარტული ოპერაციული პროცედურის (სოპ-ის) და შესაბამისი დოკუმენტირების ფორმების დანერგვის მიმართულებით, ასევე, სამედიცინო პერსონალის მომზადებას ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ კლინიკა ერთ-ერთი პირველია იმ სამედიცინო დაწესებულებათაგან, რომელმაც გამოთქვა მზაობა საპილოტე პროექტში

ჩართვასთან დაკავშირებით და გამოყო შესაბამისი შიდა რესურსი პილოტის კოორდინირებისათვის.

მემორანდუმს სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მხრიდან ხელს მოაწერს ფონდის დირექტორი, მერი მაღლაფერიძე, ხოლო ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკის მხრიდან - დირექტორი, ავთანდილ ყამბარაშვილი.

ღონისძიების ფარგლებში ასევე მოხდება ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე უკვე გადამზადებული სამედიცინო პერსონალისათვის სერტიფიკატების გადაცემა.

მოკლედ საპილოტე პროექტის შესახებ:

ოჯახში ძალადობის დროული გამოვლენის, მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სწრაფი და კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ შემუშავდა ეროვნული რეფერალური მექანიზმი, სადაც ნათლად გაიწერა და გაძლიერდა ჯანდაცვის სისტემის როლი ოჯახში ძალადობის დაძლევის კუთხით. დოკუმენტის თანახმად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სამედიცინო დაწესებულებები აღნიშნული მექანიზმის მონაწილე სუბიექტები არიან და მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ოჯახში ძალადობის შემთხვევების ამოცნობის, დოკუმენტირებისა და რეფერალის პროცესში.

რეფერალური პროცედურების პრაქტიკაში დასანერგად ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) აქტიური მხარდაჭერით დაიწყო პროექტის – „ჯანდაცვის რეაგირება (პასუხი) ოჯახში ძალადობაზე/გენდერულ ძალადობაზე“ განხორციელება, რომლის მიზანია ოჯახში ძალადობის/გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმების გაუმჯობესება ჯანდაცვის პერსონალის შესაბამისი მომზადებისა და ინსტიტუციური გაძლიერების გზით.

პროექტის ფარგლებში შემუშავდა სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (სოპ-ი) ქალის მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის გამოვლენის, მკურნალობის პრინციპებისა და რეფერალის საკითხებზე. დოკუმენტი მთლიანად ეყრდნობა გაეროს მოსახლეობის ფონდისა (UNFPA) და აღმოსავლეთ ევროპის რეპროდუქციული ჯანმრთელობის ინსტიტუტის ავტორობით შექმნილ „ჯანდაცვის მომსახურებების გაწევა გენდერულ ძალადობაზე დარგთაშორისი რეაგირებისას - სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებს“ და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გაიდლაინებს. აღნიშნული სახელმძღვანელო მითითებების პილოტირება დაგეგმილია კახეთის რეგიონსა და თბილისში. პილოტური პროექტის შედეგების გაანალიზების საფუძველზე 2019 წლიდან პროცედურების დანერგვა და გავრცელება მთელი ქვეყნის მასშტაბით მოხდება.

მოსაწვევს თან ერთვის დღის წესრიგი

⬇

ღონისძიების დღის წესრიგი

თარიღი: 21 ივნისი
დრო: 15:00 – 17:00 სთ.
ადგილი: ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკა (თელავი, ალადაშვილის ქ. 6)

დრო	ღონისძიება
12:00	გასვლა თბილისიდან
14:30 – 14:45	თელავში ჩასვლა
15:00 – 15:10	**შეხვედრის გახსნა** **თამარ ბორცვაძე** - სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის პროგრამის კოორდინატორი
15:10 – 15:30	**მისასალმებელი სიტყვა** **მერი მაღლაფერიძე** - სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორი **ავთანდილ ყამბარაშვილი** - ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკის დირექტორი
15:30 - 15:40	**მემორანდუმის გაფორმების ცერემონიალი**
15:40 – 16:00	**სერტიფიკატების გადაცემა**
16:00 – 16:30	**ხემსი**